


OK 8974  
2

8 May 1974



გ. გრიგოლია

18974  
18974

## გართლის ცხოვრების ურანისული ნუსხის ნაწყვეტი

ქართლის ცხოვრების ფალავანდიშვილისეულ ხელნაწერში, რო-  
მელიც ამეამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება  
(№ 988—H.), აღმოჩნდა რამდენიმე ძველი რვეული იმავე კრებუ-  
ლის (ე. ი. ქართლის ცხოვრების) რომელიმაც სხვა დღების  
უცნობი ნუსხისა. ეს არის იქ 5—16; 19—59 და 61—66 ფურ-  
ცლები, სულ 59 ფურცლის რაოდენობით. ამ ნაწილში შემორ-  
ჩენილი ძველი სათვალავის<sup>1)</sup> თანახმად (მთავრულით), ექვემდე-  
გენილია ქართლის ცხოვრების იმ უცნობი ხელნაწერის 2—9 რვეუ-  
ლები. ამათგან დღეისათვის მეორე რვეული შვიდფურცლიანია,  
მე-5 და მე-9 რვეულებში ექვე - ექვე ფურცლია, ხოლო და-  
ნარჩენი ჩვეულებრივ რვა-რვაფურცლიანია. აღნიშნული ფრაგ-  
მენტი ქალალდითა და ხელით აშკარად ჯანსხვავდება ხსენებული  
კრებულის მოელი დანარჩენ, ნაწილისაგან.

მისი გარეგნული ნიშნებიდან აღსანიშნავია: ზომა — 33×21, და-  
წერილია საშუალო სისქის თეთრ ქალალდზე; გარკვევით ჩანს  
ჭვირნაშანი: გვირგვინი—ქვეშ ხის ტოტი, რომელზედაც ჰკიდია  
ყურძნის ერთი მტევანი<sup>2)</sup>, ნაწყვეტი დაზიანებულია; პირველი ფურ-  
ცლი ხე ნაწერის დასწყის ნაწილთან ერთად მოცილებულია და-  
ისე დევს; კველა ფურცელი თვალსაჩინოდ გაყვითლებულია და  
ხშირად დალაქულია კიდეც; დაწერილია საქმიანდ ლაშაზი ნუს-  
ხურით, შავი მელნით, ხოლო სათაურები და ხშირად თავასოები  
წითურით.

1) ამ ნაწყვეტის ფურცლებზე დღეს კიდევ სამნაირი სათვალავი მოიპოვება:  
ა. რვეულებრივი—მხედრულით, ბ. გვერდობლივი არაბული ციფრებით—ხედა  
აშიანე და გ. ფურცელთა არაბულითვე ქვედა აშიის შუა ნაწილებში. სამივე  
სათვალავი უფრო ახალია და შესრულებულია სხვადასხვა დროს ფალავანდი-  
შეილისეული ხელნაწერის მიხედვით.

2) აკად. ე. თაყაიშვილის დაკვირვებით, ასეთი ნიშანი XVIII  
საუკუნის პირველი მეოთხედის თარიღიან ნუსხებში, ხალო ქართველის ცხოვრების  
ხე ნაწერებიდან ასეთი ჭირნიშანი გააჩნიათ ჭ. ა. ჭირნაბისეულის  
ჩუბინაშვილისეულ ნუსხებს ([1] გვ. 5 47). ასეთივე ჭირნიშანი ჩვენ ვხედავ  
ქართლის ცხოვრების ე. წ. რუმიანცევისეულ [2] და ჭ. ჭავაშვილის მიერ ჭ.  
მოჩენილ [3] ნუსხებშიც.

გადამწერი და შემხად ბის აღვილი უცნობია. ჩვენ არც ის ვიცით, თუ ვისი დაკვეთით დაიწერა ან ვინ იყო მფლობელი იმ ნუსხისა, რომლის შემადგენლობაში თავის დროზე ეს ნაწყვეტი უნდა ყოფილიყო.

აღძრული საკითხების გასარკვევად თვითონ ფრაგმენტში არავითარი მათითება არ მოიპოვება, გარდა იმისა, რომ მისი ბოლო ფურცლის ქვედა აშიაზე (65 V) ლაბაზი მხედრულით ხვეულად იწერილია: „ურბნელი ნიკოლოზ“.

საქართველოს სახელმწიფო მუნიციპალიტეტი საბუთთა კოლექტივში ნიკოლოზ ურბნელის სამი დოკუმენტი აღმოჩნდა. ისინი აკად. ნ. ბერძენიშვილმა უკვე გამოქვეყნა 1734, 1738 და 1738 წლებით დათარიღებული ([4] გვ. გვ. 240, 270, 281).

უფრო ადრე, დიმიტრი ბაქრაძეს თავისი არქეოლოგიური შოგზაურობის დროს ურბნისის საყდრის საბუთებში ნიკოლოზ ურბნელის რამდენიმე სხვა საბუთი უნახავს და თავისი შენიშვნების წიგნში მათი განგებულების ნაწყვეტებიც ჩაუწერა ([5] გვ. 59). ერთი საბუთი იქაც 1738 წლით ყოფილა დათარიღებული. სამუშაოროდ, სხვები უთარილონი ჩანან. მაგრამ დიმიტრი ბაქრაძის ერთერთი ამონაწერი ნიკოლოზ ურბნელის ვინაობის შესახებ ძვირფას ცნობას იძლევა. როგორც ამონაწერიდან ჩანს, დომენტი კათალიკოზს მისთვის „სააგალიშვილო სადგრის ხეობა და ბაგინეთ — გუჯარეთი“ სამწყსოდ მიუცია. ურბნელის ამ ხალ სამწყსოს კათალიკოზი უცხალებდა: „და იდგინეთ ეფისკოპოზა და წმიდა და ყოვლად სანატრელი ურბნელი ხერხეულიძე ნიკოლოზ“<sup>1)</sup>. აქ უკვე ნიკოლოზ ურბნელის პირად ლირსებებთან ერთად მისი გვარი ვილობაცაა გამომცლავნებული: გვარად ის ხერხეულიძე იყო. ნიკოლოზ ურბნელს თავი-ი სიცოცხლის ბოლო პერიოდში მცხეთის საკათალიკოზო ტახტიც მიკლია [ალბათ დომენტის შემდეგ — 1742 წელს]. ისი პირადი თვისებებიც, რომ ის „წმიდა და ყოულად სანატრელი“

<sup>1)</sup> ნუსხური დამწერლობით შესრულებული ქართლის ცხოვრება ძალიან იშვიათია. დღემდე ამ მხრივ ერთადერთ გამონაკლის თეიმურაზისეული (აჭ მიცნიერებათა აკადემიის) ნუსხა წარმოადგენდა, მაგრამ ქართლის ცხოვრების ის ნუსხაც. რომლის ნაწილსაც თავდაპირველად ჩვენი ნაწყვეტი შექმნადა ნუსხურით ყოფილა შესრულებული.

<sup>2)</sup> სწორედ ამ სიგელს უნდა გულისხმობდეს". ურბნისის ეკლესიის გუჯარების სია", რომელიც ყოფ. საეკლესიო მუხეუმის ძველ საბუთთა კოლექციაში ინახება და იწყება ასე: „კობის შემოწირულების სიგელი სადგრისა და ბაგინეთ გუჯარეთისა“ [6].

პიროვნება ყოფილა, ცხადია, ურბნელის ასეთ დაწინაურებას დიდად შეუწყობდა ხელს. მაგრამ ნიკოლოზის ღმევება ჩანმოქლვა გამომდარა. ოფორტუ ცნობილია, კათალ კოზი ნიკოლოზი ხერხეშვიდე 1744 წლის ოქტომბერში ხანჯლით იქნა მაკლული ([7], გვ. 1).

ამგვარად, ნიკოლოზ ურბნელი XVIII საუკუნის პირველ ნახევრის, უფრო კი ოცდათიან-ორმოციანი წლების მოღვაწე ჩან ყოველ შემთხვევაში, ამ სახელის მატარებელი სხვა უზნებელი ჩვენ არ ვიცით. თუ ჩვენ არ ვცდებით და ეს ურბნელი აქ შემთხვევით მოხვედრილი პიროვნება არ არის, შესაძლებელია დაესაქტათ, რომ ქართლის ცხოვრების იმ უცნობ ხუსტ ს, საიდანაც ეს ფრაგმენტი მოდინარეობს, ურბნელის რელიც უნდა ჰქონდეს გამოვლილი, საერთოდ ის ურბნისის საყდართან დაკავშირებული ძეგლი ჩანს. მისი ნუსხური დამწერლობაც ასეთ შესაძლებლობას თვალსაჩინოდ აძლიერებს. აშიტომ ქართლის ცხოვრების იმ საძირელ ნუსხას, რომლის ნაწყვეტთან ჩვენ გვაქვე აქ საქმე, პირობით ურბნისული ვუწოდეთ.

XVIII საუკუნის კამოციანი წლებისათვის ქართლის ცხოვრების ურბნისულ, ნუსხა ჯარაღურებელი ყოფილა. მოელი წიგნიდან უს ნაწყვეტილა გადარჩენილა. ამ ნაწყვეტის მოლო ფურცლის ზურგზე, წრეხაზის შიგნით და მის გარემო, მოთავსებულ ანდერძში ზაქარია ხუცესი ხსენებული ნაწყვეტის ასეთი მდგომარეობის გამო გულისწუხილით აღნიშნავდა:

„ეს ე ქართველთ ცხოვრება თუ უამთა გითარებისაგან არის დაკლებული, ვის გაყვედრო, და თუ შურით ვისმე მოუანგარავს, რა ვქნა—მიზეზი მაბრკოლებს და რა ვიკადრო. ეს ე და სამი წიგნი სხვა დიდად დაკლებული ნაგლეჯი დანახევი დაუფლებიათ“, ამბობს ის.

ზაქარიას ქართლის ცხოვრების ფალავანლიშ ილჩეული ნუსხის გადაწერა, ოფორტუ ეს ანდერძშია ნათევამი ([272 r], 176). ლისაგვისტოსათვის დაუმთავრებია. უეჭველია. იგი მას რამდენიმე წლით უფრო აღრე უნდა ჰქონოდა დაწყებული. სწორედ ის ხანებისათვის მას ქართლის ცხოვრების, იმ საა ცნობილ ნუსხასთან ერთად (მეფისა, მცხეთისა და ქსნის ერისთ ვისა), ეს ნაწყვეტიც ჩავარდნია ხელთ, რომელიც ჩვეულებრისამებრ კი არ ჯადაუწერია, არამედ აუღია და მთლიანად ჩაუწოდავს მას მიერ აბიდე შემჩადებელ ხელნაწერში<sup>1)</sup>.

<sup>1)</sup> ქართლის ცხოვრების ხელნაწერში უფრო ძველი ნუსხის რეესტრების ამგვარი გამოყენების შემთხვევა სხვაგანაც მოგვეპოვება; ქალაშვილისეული ხელნაწერი ამის იშვიათი ნიმუშია.

აღნიშნული ნაწყვეტი უთარალო ძეგლია. თუ მაედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ XVIII საუკუნის სამოციანი წლებისათვის ქართლის ცხოვრების მთელი კრებულიდან ამ ნაწყვეტს ზაქარიამდე, სამწუხაროდ ნაგლეჯისა და ნაკევის სახით მოულწევია; და იმასაც, რომ უკვე მის მინაწერებში აღნიშნული საუკნია ნია-ოცდაათიან-ორიოციანი წლების მოლვაში ნიკოლოზ ურბნელი იხსენიება, შესაძლებელია, ის XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლად იქნას მიჩნეული ყოველ შემთხვევაში, მისი ყველაზე უფრო გვიანდელი თარიღი აღნიშნული საუკუნის ორმოციან წლებში უფრო აქეთ ვერ წამოვა.

მართალია, ხელნაწერის უდიდესი ნაწილის განადგურების გამო, ამ ძეგლის ყველაზე უფრო აღრინდელი თარიღის გარკვევა გ ძნელებულია, მაგრამ ჩვენამდე მოლწეულიც (ეს ნაწყვეტი) საკმარისად მიგვაჩნია იმის სათქმელად, რომ შეუძლებელია ის ვახტანგამდე უწინარეს იყოს შემზადებულ.

ქალალდის ჭვირნიშნის გადა აქ ორი გარემოებაა გასათვალისწინებელი: ა. ტექსტი პირწინდად ისევი დაყოფილია თავებად, როგორც ეს მხოლოდ და ხსოლოდ ვახტანგისეულ ნუსხებისათვისაა დამახასიათებელი და ვახტანგზე უწინარეს არსად არ გვხვდება. ბ. ტექსტის ხელით შეტანილია პეტრე ქართველის ცხოვრებაც; ეს ძეგლი კი, როგორც ცნობილია, ქართლის ცხოვრებაში, თავდაპირველად, ვახტანგ მეფეს შეუტანინებია და არავითარ შემთხვევაში მასზე უწინარეს მოსალოდნელი არ არის. ხოლო თუ ეს ასეა, ურბნისული ტელნაწერი ახალი ქართლის ცხოვრების ერთ-ერთ აღრინდელ ძეგლად უნდა იქნას მიჩნეული, რომელიც XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. ან ყოველ შემთხვევაში ამ საუკუნის 40-იან წლებამდე უნდა იყოს შემზადებული.

შინაარსობრივად ღრისშინულ ნაწყეტში დაცულია ლეონტი ზროველის ცნობილი თხზულება: „ცხორება მეფეთა და პირველთა განთა მამათა და ნათესავთა“—თითქმის მთლიანად, აკლია ვხოლოდ დასაწყისში და მცარეოდენ ბოლოშიც. იწყება ის მოთხრობით მცხეობა და ის მიღამოებში ქართველთა უძველესი (მამასახლისობის პერიოდის) თავგარდასავალის შესახებ სიტყვებით: „ნებისმყოფელ ერთმანერთისა მოელოდეს მოსლვას / სპარსთახა, აშაგრებდეს ციხეთა და ქალაქთა, მას უამსა შინა, ხადაცა ვინ მოვიდის ოტებული ხაბერძნებით, ვინა ასურეთით ოტებული, ვინა ხაზარეთით, უოფელივე დაიმზევობრიან ქართველთა შეზრებითათვის სპარსთა ზედა“. და წყვება მირდატ მეფის—ფორსმანის ძმის ცხოვრებაზე სიტყვებით: „მეოცდაათე მეფე მირდატ ძმა

ფარხმან მეფისა ხოსროიანი (დ) ა. დაჯდა ძმა მიხი მირდარ მე-  
ფედ ახულის წული თრდატიხი ძე არზაბაქარიხია”...

თხრობა მიმდინარეობს ცალკე ზეობათა მიხედვით. თითოეული  
მეფის ცხოვრება აბზაცითა და ცალკე სათაურით გამოყოფილია  
დანარჩენისაგან. ცალკე ადგილებიდან აღსანიშნავია: ცნობა ქართ-  
ლოსიანთა უძველესი სასაუბრო ენის შესახებ, რომელიც აქ ასე  
იკითხება: „აქობამდის ქართლოხიანთა ენა მხოლო ქართული  
იყო, რომელსა, ზრახვდეს, ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხუნი-  
ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა განრყუნეს ენა  
თვეი და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქნა ენა მრავალი“<sup>1)</sup>. ამ  
ადგილის ასეთი რედაქცია სხვაგან ქართლის ცხოვრების ნუსხებში  
არსად შეგვხვედრია. ამ მხრივ ეს ნაწყვეტი სრულიად განცალკე-  
ვებულად დგას.

არანაკლებ საყურადღებოა ადერკი მეფის ცხოვრებას შემც-  
ველი ნაკვეთიც: მრავალი ჩანართებითა და წაშლილი ადგილე-  
ბით ეს ცხოვრება თვალსაჩინოდ აკრელებულია. ამ ნაკვეთს  
აშკარად ემჩნევა ჯერ ურბნელი გადამწერისა, ხოლო შემდეგ ზაქა-  
რია ხუცესის ხელი. ჩვენ მოგვყავს ის თავისი პირვანელი სახით,  
როგორათაც ურბნისულ ნუსხაში ის წარმოდგენილი ყოფილა<sup>2)</sup> „შეათე მეფე ადერკი ძე ბართომისი არზაკუნიანი“.

და ამან ადერკი დაიპყრა ყოველი ქუეყანა ქართლი და ეგრისი  
და მოსკა სომხეთა მეფემან ასული თვეი ცოლად და დაჯდა მც-  
ხეთას და მეფობდა კეთილად. ოცდაათისა წლისა მეფე იქმნა და  
ორმეოცდაათშვდმეტ წელ მეფობდა. ხოლო პირველსა წელსა მე-  
ფობისა მისისა იშუა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ბეთლემს ჰურიას-  
ტანისასა<sup>3)</sup>). მოვიდეს მისა მოგუნი ძლუნისა შეწირვად და მოგუ-  
თა შესლესა იცრუსალიმს ჰოეიდა ამბავი მცხეთას, ვითარმედ  
სპარსთა იერუსალიმი წარტყუნესო და ჰურიანი, რომელი მცხე-  
თას იყვნეს, იქმნა მათ შორის გლოვა და ტირალი, და შემდგომად  
მეორესა წელს სხუად მოვიდა ამბავი, ვათარმედ სპარსნი არაწარტ-  
ყუნენად მოვიდეს იერუსალემს, არამედ იქუნდათ ძლუნი ყრმი-  
სა ვისმე შობილისთვეს. განიხარეს ჰურიათა მცხეთელთა. შემდგო-

1) საყურადღებოა, რომ თეიმურაზ ბატონიშვილმა ასე შეაკეთა ეს ადგილი  
მის მიერ ვიღაც შლიგინ-მეინნისადან 1817 წელს ნაყიდ ქართლის ცხოვრების  
ნუსხაშიც [7].

2) ზაქარია ხუცესის მიერ წაშლილი ადგილები აქ ყველან აღდგენილია და  
იძებდება მსხვილით, როლო ზაქარიას ყველა ჩანართი ჩატანილია სქოლიოში.

3) ზაქარია იქვე აშიახე: „დასაბამითგან სოფლისათ ხუთი ათას შუთასსა“.

მად აშესა ვითარმედ გარდაკდეს წელნი ოცდათნი მოვიდა მო-  
ციქულნი ჰურიათა იერუსალიმით<sup>1)</sup> ჰურიათა თანა მცხეთელთა,  
ვითარმედ რომლისათვის იგი მოვიდეს მოგენა და შეიირეს ძლუენი  
აღზდილ ას იგი და ტეკვს ოვსა თვესა ძედ ლუთისა<sup>2)</sup>). აწ წარგ-  
ვლენიან ჩვენ მოციქულნი ყოველთა თანა ჰურია-ა, რათა მოვი-  
დენ მაცნიერნი შჯულისანი<sup>3)</sup> და განვიკითხოთ ჯა განვგმოთ ბასჩე-  
და. აწ თქვენგნიცა წარმოვიდენ მეცნიერნი შჯულიანი მანდეთ<sup>4)</sup>  
და წარვიდეს ელიაზ მცხეთელ და ლონგინოზ კარსნელი და მუნ  
დახუდეს ჯუარცმასა უფლისა<sup>5)</sup> და მუნით მოიდეს კუართი უფ-  
ლისა ელიაზ მდდელმან მცხეთას. მყის, წინა შეეგება და იგი  
მისი გოდებითა და ტირილითა საშინელითა ცრემლით შესუარუ-  
ლი მოეხვა ყელსა სასურველისა მის ძმისასა. ხოლო ვითარცა იხი-

1) ზაქარია ამ ორი სიტყვის ჩევით „ანია მღდლისა“.

2) ზაქარია ტექსტშივე „და სწავასა რასმე ახალსა სჯულსა გვიქადაგებს და“

3) ზაქარია აშიაზე „მოვედით უკუე ყოველნივე მოსეს სჯულისა თანამდე-  
ბინ და“

4) ზაქარია აშიაზე: „რათა პსჯული მამათა ჩვენთა შეუცვალებელ ვყოთ და  
დავამტკიცოთ დამცნება მოსესი აღვასრულოთ; რათა ახლითა მით პსჯულითა,  
რომელ ასამე გვიქადაგებს არა შეაცუნეს უმარტივესნივე ვინმე სჯულისა  
ჩუენისანი. ხოლო სიკლილითაცა მისითა შერი ვიძიოთ. ხოლო მაშინ უკუე  
წარვიდა ელიოზ კაცი მოხუცებული. ხოლო ესვა მას დედა ტომისაგან ელი  
მდუდელისა და კუალად ერთი და ხოლო, წარმავალსა მას ეველრებოდა ლელა-  
ქესა. თვესა, ვითარმედ წარვედ უკუეშვილო საყუარელო წოდებასა მას მეფისა-  
სა და წესა სჯულისასა. დარჩნა ესე, ხოლო რომელსა გამცნებ, შენ დაიმარხე: ნუ  
უკუე შეერთვინ ცნობად შენი განხრახვასა მას მათსა ძოროტსა და ნუცავე  
შეეზიარები დაოხევასა სისხლისა მის მისისასა, ნუ შეილო ჩემო გვევდრები ნუ-  
რამეთუ უკევლად უწყოდე, ვითარმედ იგი არს სიტყვა წინასწარმეტყულთა,  
რომელსა პირველითვანებ მოასწავებდეს და წარვიდეს ელიოს\*.

5) ზაქარია აშიაზე: „ხოლო რა ესმს იგი იერუსალიმს დაზსპეცალუი-  
დეს უფალსა) ცემაისა მას კვერისასა სამსქეალთა ზედა, მყისმებბი მასევ უამსა,  
მცხეთას კმა ესმა დედასა ეუიონისასა. ხოლო მან საშინელითა კრჩხიალებითა  
დაიშარა და თქვა:—შშვილობით მეფობაო იერუსალემთაო, რამეთუ უაშნურე-  
ბით მოკალთ უძარტუქნო წარწყმედილნო უკალი და მაცხოვარი ყოველთა  
და იქმნით ბოროტად მკვლელ შემნებელისა თქვენისა. ვაი თქუენდა უბადრუკ-  
ნო ვინმცა უკუე იძოვა ესე ვითარი გლოვა, რომელსა თქვენ ლირს ხართ. ხო-  
ლო უფროს გად ჩემდა, რომელ პირველ სიკვდილისა ჩემისა მსმენელ იქმნებ  
ყურნი ჩემნი, ყოვლისა მწუხარებისა სასმენელსა და მყის ამას სიტყვასა ზედა  
მეყესულად უკუე შეისვენა დედაკაცმან მწუხარებასა და გლოვასა შინა ფრიად-  
სა და მიუთხოვდელსა. ხოლო კვართსა მას ზედა უფლისა წილ იგდეს  
ულთოთა ურიათა კვარცმასა უფლისა და განვებულებამან ლუთისამნ  
მიახვედრა მცხეთელთა ჰურიათა. წარმოვიდა იერუსალიმით ელიოზ და ლონ-  
გინოს და წარმოილო კვართი იგი წმიდაზ ვითარცა მოილო ელიოზ, მცხეთას,  
მყის წინა უკეე მიევე..

ლა უსასურ ელესი იგი ყოველთა სასურველთა კუართი მკანელისა<sup>1</sup> მყის წადიერებით და სურვლით შეიტკბო მკერდსა თვესა და მეყ-სეულად სულნი წარკდეს<sup>2</sup>) დედაქაცასა<sup>3</sup>) მას. მაშინ უკუე საკვრ-ველი საქმე იგი განისმა ყოველსა მას ქალაქსა მცხეთას და ვი-თარცა ხაცნაურ ექნია მფე-აცა და ყოველთა მთავართა და ერ-თა<sup>4</sup>). ხოლო ვითარცა იხილა ადერკი მეფემან კუართი იგი სთნდა უკუე ფრიად შუენიერებისა წისთვს<sup>5</sup>). უპეულად შემოსა შეგი-ნებულსა მას გუამსა მისესა წმიდად კუართი იგი ხოლო საკვრვილე-ბისა წისთვს<sup>6</sup>) რომელი იგი იქმნა არლარა უკვე ინება გამოლებად მკერდისაგან. მკუდრისამის. ხოლო ელიოზ დამარხა და იგი მისი<sup>7</sup> წმიდითა მით კუართითა მკერდსა ზედან ვითარცა [აქუნდა აგ-რეთვე დამარხნა. ხოლო წმიდა იგი კუართი წმიდადვე უკუე დაშთა და წმიდადვე გიეს და] ადგილი იგი ღმერთმან უწყის მხო-ლოდ, ხოლო მან, ვითარცა, წერილ არს ესე განცხადებულად მოქცევასა ქართლისასა<sup>8</sup>.

1) ზაქარია ამის შემდეგ ზევით: „ჩვენისა“

2) ზაქარია ამის შემდეგ ზევითვე: „ნეტარსა მას“

3) ამის შემდეგ ზაქარია აშიაზე: სამთა მათ მიზეზთათვს, პირველ, უკულისა სიკუდილისა და უნებისა მისისათვს, მეორედ, რამეთუ ებირა ძმა-ფი მისი სისტლა უფლისა, ხოლო მესამედ, ვინათგან მოქესენა დედისაცა თვი-სისა იგი მწუხარებით სიკუდილი; ვინათგან უკუე ყოველივე მწუხაობა ერთ-ბაშად შემოკრიბა, ამისთვისცა ძლეულ იქმაა ბუნებისაგან კაცობრივისა და სიკულილი დაესაჯა ლმობილსა მწუხარებათაგან ფრიადთა მაშინ“.

4) რედაქტორი ამ სიტყვის მაგიერ თაგნე: შინა.

5) რედაქტორი ამის შემდეგ სტრიქონ ზევით: „და ყოველთა ერთბამად დაუჭირება საქმე იგი საშინელი“.

6) ზაქარია ამის შემდეგ წაშლილი სტრიქონის ზევით. „მისისა სამოსელი იგი შეიმოსა“

7) რედაქტორი ამ სიტყვას იქნე: „და მის მიზეზისათვის“

8) რედაქტორი აშის შემდეგ უსვამს ჯვარს და აშიაზე ათავსებს: „სანარ-ჩელითა დამარხვითა, რამეთუ ერთბამად ვითარცა აქვნდა მკერდსა თვისისა ზე-და კვართი იგი ეგრეთვე დამარხა, ხოლო წმიდად იგი კუართი წმიდადვე უკუე დაშთა და წმიდადვე ჰეიეს ვითარცა პირველვე ვითარცუ წერილ“.

9) ამის შემდეგ რედაქტორი იქვე აგრძელებს: „და შემდგომად ამალებებისა უფლისა და აშიაზე წილიგდეს“ (და აშიაზე ათავსებს)

„მოციქულთა ყოველად წმიდასა ლირსმშობელსა წილად წედა მოქცევად ქუეყანა საქართველოსა. მაშინ ჩვენებით ეჩვენა უფალი ტე მისი და პრექვა: ჰოი-დელაო ჩემო! არაუგულებელ ყო ერი იგი სახეპურო უფროს ყოველთა ნათე-სავთა, მეოხებითა შენითა მათთვს. ხოლო შენ წარავლინე პირველ წმიდებული ანდრია ნაშილსა მას შენდა ჩეკდრებულსა და თანა წარატანე ხატი შენი, ვი-თარცა პირსა შენსა დადებით გამოისახოს, და შენსწილ ხატი იგი შენი მკვიდ-რობდეს მცველად მათდა უკუნისამდე უმთა“. მაშინ პრექვა ყოულად წმიდამან

ამან აღერკი უმატა სიმაგრეთა ქართლისათა; ქალაქთა და ციხეთა და უმეტეს მომტკიცნა ზღუდენი ქალაქისა მცხვეთისანი წყლისა იშიერ და ამიერ. ამისვე აღერკის მეფობასა შინა მოვიდეს ათორმეტთა წმიდათა 'მოციქულთაგანნი ანურია<sup>(1)</sup> სიმონ კანა-

მოციქულსა ანდრიას: 'შვილო ანდრია, დიდად უმძიმს სულსა ჩემსა, რომელ ქუეყანასა მას ნაშილსა ჩემსა არაქადაგებულარს სახელი ძისა ჩემისა. ოდეს წარვემართე ქადაგებად ძისა ჩემისა ქუეყანასა მას წილად ჩემდა ხვედრებულსა, მაშინ გამომტკიცნა სახიერო ძე ჩემი და ლერთი, და მიბრძანა, რათა შენ წარხვიდე და წარასეყნო. სახე ჩემი დასახიერისა ძისა ჩემისა ჩემდა წილხდომილსა, რათა მე ვიყო განმგებელ ცხოვრებისა მათისა. ცელი აღუპრადა შევეწიო მათ და არავინ მტერთაგან მძლე ექმნას მას" და ჰრევა მას მოციქულმან: ყოულად წმიდაო. ნება სახიერისა ძისა შენისა და შენი იყავნ ყოველსა უამსა". მაშინ ყოულად წმინდამან მოითხოვა ფიცარი, ფაიბანა პირი, და დაიდგა პირსა ზედა თვისსა, და გამოისახა წატი ესე ვითარი, რომელი იგი პირველად ჩივილი, წილთა თვისთა ეტიორთა ყოფლად სახიერი განკორციფლებული სიტყვა ღვთისა, რომელ აწ ყოველთა მიერ სახილველარს წატი ყოულად წმიდისა აწყვერისა ღვთის მშობლისა, და მისცა იგი მოციქულსა ანდრიას და ჰრევა: „მადლი და შეწევნა ჩემდან შობილისა უფლისა თანაშემწე გეყავნ შენ სადაცა ზვიდოდე, და მეცა თანაშემწე ვარ ქადაგებასა, მაგას და დიდად შევეწიო მოწაწილესა მას ჩემდა ხვედრებულსა". მაშინ დავარდა მოციქული ქუეყანად, და მადლი შეწირა ცრემლითა ყოულად წმიდასა, და გამოვიდა მიერ სიხარულით, და წარემართა ქადაგებასა სახარებისასა.

(1) ანდრია ქალაქად ტრაპიზონად, რომელ არს სოფელი მეგრელთა, სადა იგი დაყო უამი მცირედი, და იხილა უგუნზრება პირუტყვებრივი მცვიდრთა შორის მის ქალაქისათა, განვიდა მიერ და შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდაჭარა ეწილდების, და იწყო ქადაგებად სახარებისა, რამეთუ კაცი პირუტყვთა უუგუნზრეს იყენეს, და არა იცნობდეს შემოქმედსა ღმერთსა, და ყოველსა საძაგელსა, და არა წმიდა წესსა აღასრულებდეს, რომელი სათვემელადცა უჯერო არს. და მრავალნი ჭირნი და განსაცდელნი დაითმინა ურწმუნოთაგან, და შეწევნითა ღვთისეთა, და წმიდისა ამის წატისათა ყოველნივე მაღლობით მოითმინა, ვიდრემდის ყოველნივე მოაქციერა, და მოიყვანნა სარწმუნებად. რამეთუ ადგილსა, რომელს იგი დასავენა წატი ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისა, აღმოუცენა წყარო შევნიერი ფრიად და დიდი. რომელი იგი ვიდრე ღლესცა დაუწყვედებულ აღმოდის და შემოკრბეს ყოველნივე ყოვლით კერძო მცვიდრნი მის ქუეყანისანი და ნათელსცა ყოველთა სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა და დაადგინა მღვდელნი და დიაკონი, და დაუდვა წესი და სახლვარი სარწმუნოებისა, და აღაშენეს ეკლესია შევნიერი, სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისასა. და ვითარცა ენება წმიდა მოციქულსა მიერ წარსლვა, ევედრებოდეს, და არა უტევებდეს წარსლვად. არამედ ეტყოდეს: უკეთუ შენ წარხვალ, წატი—ესე ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისა აქა დაგვისვენე, სასოდ და მცველად ჩენდა", ხოლო წმიდამან მოციქულმან შექმნა ფიცარი მსგავსი ზომისა, და დასდევა წატისა მას ზედა, და მეყსეულად გამოისახა სახე უცვალებელი წატისა მის, და მისცა იგი მათ. ხოლო მათ სიხარულით შეიწყნარეს, და დაისვენეს გლესისა შინა მათსა პატივით, რომელი იგი ვიდრე ღლეს აქამომდე ჰგიეს. ხოლო წმიდა მოციქულს

ნელითურთ პირველად ქალაქიდ და განაათლა ქართლი და ნათელ-სცა და მერმე უკუნ იქცა და განვლო ჭორები და შევიდა სვანეთსა და არწმუნა ქადაგება მთავარსა მას დედაკაცსა, რომელი მთავრობ-და მუნ და მოვიდა სევასტოპოლედ, რომელსა აწ ცხუმად სახელე-

მისცეს მშვიდობა, და მოწლედ მოიკითხეს, და ამბორს უცვეს, და წარმოგზავ-ნეს. და წარმოემართა. და გარდამოვლო მთა, რომელსა რკინის ჯვარი ეწოდე-ბოდის, და თქმულარს, ვითარმედ ჯვარი იგი თვით ნეტარისა ანდრიას მიერ აღმართებულარს, და ვითარცა შთავლო აევი ოძრებისა, და მოვიდა საზღვართა სამტკისათა, დაივანა სოფელსა, რომელსა ეწოდების ზადენგორა. მინდნა მო-ციქულმან, და იზილნა კაცნი მის ადგილისანი, რამეთუ უზორვიდეს კერპთა ყრუთა. და ილოცა მოციქულმან შმიდისა მის ხატისა მიმართ, და ყოველნი იგი კერპნი დამცვნეს და შეიმუშარნეს: ხოლო წმიდა მოციქული წარმოემართა, და მოიწია აწყვერს, რომელსა პირველად ეწოდებოდა სოსანგეთი და პირისპირ საქრისი, და დაივანა ადგილსა ერთსა, სადა იგი იყო ადგილი საკერპო, რო-მელსა აწ შევლ ეკლესია ეწოდების, რომელსა შინა იმსაზურებოდეს კერპნი მათნი: ხოლო მთავრობდა მაშინ დედაკაცი ვინმე ქვრივი სამძიგარი, რომელსა ერთი ოდენ ძე ესვა, რომლისა ყოველი სასოება მისი მისა მიმართ მოძრავია-და, და მის ოდენ უამსა მომცვდარიყო, და იყო გაება ტირილისა, და შეოთი ფრიად მრავალი — და ლამესა მას იზილეს ციხიდალმენ ნათელი დიდი, სადა ესვენა ხატი ყოვლად შმიდისა, განკვირდეს ფრიად ვინაობასა მათსა. და რა განთხოვდა მსწრაფლ წარმოგზავნენ კაცნი, რათამცა იზილონ თუ ვინ არიან. ანუ რა არს: და ვითარცა იზილეს კაცთა მათ წმიდა მოციქული, და ხატი ყოვლად წმიდისა მსწრაფლ წარგიდეს და აუწყეს ქვრივისა მას დედაკაცსა, ვი-თარმედ უცხონი ვინმე კაცნი არიან, და უცხოსა ლმერთსა ქადაგებენ შემოქ-მედად და დამბადებელად, და სიცოცხლესა კაცთასა მომნიჭებელად, და მკუ-დართ აღმაღგინებელად, და ჰყავს მას ხატი შევნერი და მას პატივსცემენ. ვითარცა ესმა სიტყა ესე დედაკაცსა მას მკუდართა აღდგომისა, განკვირდა და ცოტად რამე ნუგაშინისეცა გულსა მისისა. წარავლინნა მონანი თვისნი მო-წოდებად მოციქულისა, და ვითარცა მივიდა ჰრევა დედაკაცმან ვითარმედ ავინა ხართ, ანუ სადა მოხვალთ, ანუ რა არს უცხო ეგე მოძლერება თქვენი, რომელსა იტყვით, რამეთუ არა სადა სმენილ არს ეგე ვითარი თხრობა“ მიუგო წმიდამან მოციქულმან და ჰრევა; „მოვალ წმიდით ქალაქით იერუსალიმით, სადა დადგეს ფერგი უფლისანი გოლ [გოთას] უფლისად ჩენისა იესოქრის-ტესი წამისყოფით აღადგენს მკუდართა, და მას ვეკადაგვებთ ლმერთად და უფლად, და მცყრობელად ყოველთა დაბადებულთა, და რომელსა ჰრევენენს იგი და ნათელილოს სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა ყოველი რაოდენი ითხოვოს სარწმუნოებით მიეცემის, და ყოველთა სენთაგან განიკურნების“ ხოლო დედაკაცსა ვითარცა ესმა ესე, დავარდა ქვეყანად ცრემ-ლით ჰრევა მოციქულსა: „შეიწყალე სიქრივე ესე ჩემი და უბადრუკება ვი-ნათებან მონა ხარ მკუდართა აღმაღგინებელისა, ილოცე ლმერთისა შენისა, და მოანიჭე შვილსა ამას ჩემისა სიცოცხლე, და ყოველი რაოდენი მიბრძანო გისმი-ნო, და არა უჩნ გექმნე, უკეთუ ძე ჩემი აღდგომილი ვიზილო, რამეთუ ესუ მხოლოდ მივის და არა სხვა“. ხოლო წმიდამან მოციქულმან მიუგო, და ჰრევა: „უკეთუ გრწმენინ იესო ქრისტე ძე ლვთისად კეშმარიტი ლმერთი, რომელი იქმ-ნების ჩვენ მიერ, რაოდენიცა რა ითხოვა სარწმუნოებით, ყოველივე მოგეცემის.

დების და მუნ დაუტევა სიმონ კანანელი დაკუალად გარდავლა მთა და შთავიდა ოცხეთად ქალაქება მას ოცხეთისასა ბოსფორჩას და ურიცხუნი სასწაული აღასრულნა და მოაქციონა დაშოვიდა ცხემადვე და წარვიდენ აფხაზეთს. დამუნ არწმუნეს უფალი ჩუენი იესუქრისტე. ხოლო სიმონ კანანელი აღესრულა ქალაქება

მის მიერ\*. ხოლო დედაკაცსა მას ვითარცა ესმე ესე. აღიგსო სიხარულიმთა და ცრემლით პრექტ მოციქულსა: „ჭოი მონაო! ჰეშმარიტისა ღვთისაო, ჰეშმარიტად მრწამს და აღიარებ იესო ქრისტესა, ომელსა შენ პეადაგებ, არამედ შეგწიე ურწმუნებასა ჩემსა“. ხოლო მოციქულმან გამოასხა ყოველი იგი ერი და მგლნები, და არავინ უტევა მუნ, გარნა ქვრიგბ იგი, და მცირენი საკუთარნი მისნი. და მიიქვა პელთა ხატი ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისა, და დაასვენა ცხეფარსა მას ზედა, სადა იდგა ყრმაიგი, და იწყო ლოცვად და შემდგომად ლოცვისა უპრა კელი ყრმასა მას, და ვითარცა ძილისაგან ეგრეთ აღადგინა იგი, და მისცა იგი დედასა თვისისა. და ვითარცა ჩხილეს ყოველთა უცხო ესე სასწაული განკვირდეს ფრიად და თქმად რასამე უღონო იყვნეს. ხოლო დედაკაცმან ვითარცა იხილა ძე თვისი განცოცხლებული სიხარულით აღდგა, და დავარდა ფერგთათანა მოციქულისათა, ცრემლით თაყვანისცა, და მაღლე შეწირა, და პრემენა უფალი იესო ქრისტე, და ნათელს იღო დედაკაცმან ძითურთ, და ყოვლით სახლეულით მისით, და მსწრაფლ წარავლინნა მონანი თვისნი და წარსცა წიგნები სამცირისა მთავართა და მისწერა ესრეთ: აპა, ქვრივი გახარებ, ძმანო, სიხარულსა დიდსა ყოველთა ერთა. მოვინმევიდა, კაცი ერთი უცხოსა ქვეყანისაგან, ომელი უცხოსა ღმერთსა ქადაგებს, დაკაყავსმას ხატი ზეცისა, ომელმან ძე ჩემი მომკედარი აღადგინა. აწ, უკუ მსწრაფლ მოვედით, რათა უმჯობესი წესი და სჯული გამოვარინით და ესცნათ თუ რა ჯერ არს. და ვითარცა ესმა მეხსრთა ამბავი ესე საკვირველი, მსწრაფლ შემოკრბეს ყოველნივე ყოვლით კერძო, და იქმნა სიმრავლე ერისა ფრიადისა, ვიდრემდის აღიგსო ველი იგი საქრისისა, და განუგირდა ყოველთა იხილეს რა ძე იგი ქვრივისა აღდგომილი მკვდრეთით. ხოლო იყო ქალაქება მას ზინა ბომბინი საკერპო, ომელსა ზინა იმსახურებოდეს ბილწნი ღმერთი მათნი, არტემი და აპოლონ. და ვითარცა იხილეს საქმე ესე მღდელთა მათ სიცრულესათა, აღიგსნეს შურითა, და იწყეს ცილობად, და წინააღმდეგმად მოციქულისა, ეგრეთვე ერი იგი რომელნიმ იტყოდეს ჯერ არს თაყვანისცემა, ომელმან ესე ვითარი სასწაული აღასრულა“. ხოლო ომელნიმ იტყოდეს ვითარმედ აპოლონ და არტემი არიან დიდი ღმერთი, და იყო ცილობა და შეოთი მათ შორის, ვიდრემდის ესე ვითარი საქმე დაამტკიცეს თანა მოწამებითა ყოვლისა ერისათა და პრექტა: „განაღეთ კარი საკერპოსა მაგის ტაძრისა და შევასვენოთ ჩევნ ხატი ესე შუა კერძო კერპთა თქვნთა, და დაეხეჭდოთ ზოგად ორთავე კარს ზედა, დამცველ დაადგინეთ თქვენ ღამესა ამას ღმერთთა მიმართ თქვენთა. ხოლო ჩევნ ვილოცოთ იესოქრისტეს ჰეშმარიტისა ღვთისა ჩუენისამიმართ და ვიზილოთ ჩევნ განთიად, და] უკაუთუ პსძლიოს ღმერთმან თქვენმან, მისი ჯერ იყოს თაყვანისცემა. ხოლო უკეთუ პსძლიოს ღმერთმან ჩევნმან, მას თაყვანივსცემ ყოველთა. და დაასკვებს ესე ესრეთ: შეასვენეს ზატი ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისა შუა კერპთა მათთა, და დაბეჭდეს კარსა ზედა, და მცველი დაადგინეს, და იწყეს ლოცვად მდვდელთა მათ სიცრუ-

ნაკოფესიასა, რომელ არს აფხაზეთხა და ჯიქეთს შუა. საზღუარსა პერძენთასა, ხოლო კუალად ანდრია მოაქციენა მეგრელნი და აფხაზნი და წარკდა სკვთიად. ხოლო ითარცა ესმა მეფესა ად-

ვისათა. წმიდამან მოციქულმან ილოცა ქრისტეს მიმართ ჰეშმარიტისა ღევნისა. და ვითარცა განთენა და ვანალეს კარი საკერძოსა, იხილნეს ყოველნი კერპნი მათნი ქვეყანად დითხე ულნი, და სახედ მტვერისა შემუსრევილნი. ხოლო ზატი ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისა ბრწყინვილა, ვითარცა მშე, დიდებითა და პატივითა. მაშინ მღვდელი იგი კერპთანი ალივსნეს სირცხვილითა, და უმეტერებისა მათისათვის შენდობასა ითხოვდეს მოციქულისაგან. და ყოველმან ურმან მაღლობისა კმა აღზტევეს თქვენს ვითარმედ „დიდარს ღმერთი ქრისტეანეთა, რომელსა მოციქული ანდრია ქადაგებს“. და პრწმენა ყოველთა უფალი ჩვენი იხსო ქრისტე, და ნათელილეს ყოველთა სიხარულითა სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა. და იქმნა სიხარული დიდი მას დღესა შენა ყოვლისა მის ერისა, და პატივებდეს ღმერთსა, რომელმან იკსნნა კელთაგან გშმაკისათა. ხოლო წმიდა მოციქულსა ენება კვალად წარსლვა სხვათაცა ქალაქთა და სოფელთა, ქადაგებად სახარება ქრისტესი. ხოლო დედაკაცი იგი და ყოველი ერი ეველრებოდეს რათა არა განეშოროს მათგან, არამედ დღითი დღე ასწავებდეს წესა ჭავულისასა. ხოლო მოციქული ერჩდა მათ. და უამრაოდნებ დაადგრა მათთანა, და ასწავა მათ ყოველი წესი სჯულისა და სარწმუნოებისა, და დაუზგინნა ეპისკოპოსი, მღვდელი და დიაკონი, და კვალად განემზადა ქადაგებად სახარებისა.

და კვალაცა ეველრნეს ქვრივი იგი დედაკაცი, და სრულიად შესხნი რათა არა განიშორეს მათგან, და წმიდამან მოციქულმან ანდრია მიუგო და პრქეა: „სხვათაცა ქალაქთა და სოფელთა ჯერარს ჩემდა ქადაგებად სახარება უფლისად“ სოლო მათ პრქვეს: „უკეთუ წარხვალ, ზატი ეგე ყოვლისა წმიდისა აქა დაგვისვენე, სასოდ და მცელად ჩვენდა“ მიუგო მოციქულმან და პრქვა, ვითარმედ „ზატი ესე თვით ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისა პირსა ზედა დადებით გამოსახულარს“, და მიუთხრა ყოველივე შემდგომითი შემდგომად, ვითარ იგი შემდგომად ამაღლებისა უფლისად წილიგდეს წმიდათა მოციქულთა ყოველი ქვეყანა მოსაქეველად, და ვითარ იგი ყოვლად წმიდა ღვთისმშობელსა წილ ხვდა ქვეყანა ესე სამცხისა, და მის მიერ წარმოგხავნილ არს აქა სასოდ და მცელად წილხდომილთაგის, და ჯერეთცა ეგრეთ არს. აქა დაესვენოს მკვიდრად უკუნისამდე უამთა. და ვითარცა ესმა ესე მოციქულისაგან ქვრივესა მას და მესხთა, უმეტესითა სიხარულითა ალივსნეს, ცნეს რა წილხდომილ ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისა, მადლი შეწირეს ქრისტესა, და უბიწილე მშობელსა მისსა, და უმეტესი სიყვარული და სურვილი სურვილსა ზედა შესძინეს წმიდისა ამის ზატისა, და ცრემლითა სიხარულითა ადიდებდეს, და დაასვენეს ყოვლად დიდებული ზატი ყოვლად წმიდისა აწყვერისა ღვთისმშობელისა მცირესა, რომელსა აწ ძველ ეკლესიად სახელსდებეს. ხოლო მოციქულმან ანდრია მოიკითხნა ყოველნი სიმდაბლით და სიყვარულით. შისცა მშევიდობა და წარემართა სხვათაცა ადგილთა: ნიგლას, კლარჯეთს და არტან კოლას, სადა იგი დაყო უამი-ტრიად მრავალნი და განანათლა სიტყვითა მოძლევრებისა მისისათა და შეწირნა უფლისა წმიდისა ნათლის დებისა მიერ წარვლნა გზანი კლარჯეთისანი ქუეყანანი პართისანი, რომელარს სომ-

ერკის მეგრელთაგან შჯულისა დატობა განუწყრა და წარავლინა ერისთავნი მისნი იძულებით, კუალად მიაქციონა მეგრელნი და დამალნეს ხატნი და ჯუარნი და შერისხდა მეფე ადერკი ერისთავსა კლარჯეთისასა, რომელ მშვდობით განუტევა ანდრია.

ამისვე ადერკის მეფობასა გამოჩნდა კუალად მეფობა სპარსეთისა, რამეთუ რათგან შესრულიყო ალექსანდრე და განერუყნა სპარსეთი, აქა ეამამდე არღარა დაჯდომილ იყო მეფე სპარსეთს, რამეთუ ადგილთა და ადგილთა იყვნეს ერისთავნი სპარსეთისა. მაშინ შეერბეს ერისთავნი სპარსეთისანი და დასუეს მეფელ აულალან ბრძენი. მაშინ სომეხნი და ქართველნი იყვნეს მორჩილ აულალანისი სპარსთა მეფისა, ვიდრე ადერკისა მეფობამდე ერთი დაჯდის ქართველთა მეფელ რაზომცა მრავალნი იყუნიან შვლნი მეფეთანი. ხოლო ამას ადერკის ესხნეს ორნი ძენი, რომელთა განუყო ქალაქი მცხეთად და ქვეყანა მტკუარისა შიდა ქართლი მუხნარით კერძი ქალაქი და ყოველი ქართლი მტკუარისა ჩრდილოეთი ჰერეთითგან ვიდრე თა-

ხითი და აღიდა იყერჯესალიმად აღსრულებად პასექისა.

ხოლო ვითარცა ესმა მეფესა ადერკის ქართველთა და მეგრელთაგან სჯულის დატევება განუწყრა და წარავლინა ერისთავნი მისნი, იძულებით კვალად მიაქციონა ქართველნი და მეგრელნი. და დამალნეს ხატნი და ჯვარნი, და შერისხდა მეფე ადერკი, ერისთავსა კლარჯეთისასა, რომელ მშეიდობით განუწევა ანდრია. ხოლო ვითარცა ალესრულა დღესასწაული მარტლისა, წარმოვიდა მუნით დიდებული ანდრია, სხვათა მათ თანა მოციქულთა, მოვიდოდეს ქალაქით ქალაქად და სოფლით სოფლად ასწავლიდეს ერთა და იქმოდეს სასწაულთა და ესრეთ მიიწინეს ქვეყანასა ქართლისასა და მერმე წარვლეს ტაოს კერძი ქვეყანა და ვიდრე მდინარედ ქოროხადმდე, ყოველი იგი სოფლები მის კერძისა მოვლეს და დაუცადებულად ქადაგებდეს სახელსა ლვთისასა, და ესრეთ ქადაგებით მიიწინეს სვანეთისა ქვეყანასა. ხოლო მას ქვეყანასა მთავრობდა დღეთა მათ დედაკაცი ვინმე მთავარი რომელსა ჰრწმენა ქადაგება მოციქულთა და მატათა სხვათა მათ თანა მოწავეთა დაშთა მათ კერძოთა, ხოლო დიდი ანდრია სიმონითურით შეეიღა ქვეყანასა ოვსეთისასა და მიიწია ქალაქად რომელსა ეწოდებოდა ფოსტაფორი, სადა იგი დიდი სასწაული ქმნეს და მრავალნი გრნი მოაქციონეს და განანათლენეს. მიერ წარვიდეს და შევიდეს ქვეყანასა აფხაზეთისასა და სევასტე ქალაქად მივიდეს, რომელსა აწ ეწოდების ცხმით და უქადაგეს სატყვა ღვთისა და მრავალთა შეიწყნარეს და მუნ დაუტევა ნეტარმან ანდრია სიმონ კანანელი სხვათა თანა მოწავეთა, და თავადი ჯიქეთისა ქვეყანად აღვიდა. ხოლო კაცნი მის ქვეყანისანი, ჯიქნი იყვნეს, კაცნი ფიცხელნი გულითა და საქმეთა შინა ბოროტა განფრდილნი, ურწმუნონი და უძღებნი, რომელთა არა შეიწყნარეს ქადაგება მოციქულისა, არამედ ენგება მოკლვა მისი. ხოლო მაღლმან ლვთისამან დაიცვა, და იხილა რა მიუდრეკელობა მათი, და პირუტყვებრივ გონება, დაუტევა და წარვიდა. ამისთვისცა, ვიდრე აქამომდე ურწმუნობებასა შინა არიან. ხოლო სიმონ კანანელისა საფლავი არს ნიკოფს, ქალაქსა, შორის აფხაზეთისა და ქაჯეთისასა, რამეთუ მუნ აღესრულა წმიდა სეიმეონ კანანელი.

ვამდე ქართლისა და ეგრესისა ესე მისცა ბარტომე ძესა თვისა. ხოლო არმაზით კერძი ქალაქი მტკუარისა სამხრით ქართლი ხუნანითვან ვიზრე თავადმდე მტკუარისა და კლარჯეთი მისცა ქართამს ძესა თვისს და მოკუდა ადერკი“.

ნინოს ცხოვრება ფრაგმენტში ჩვეულებრივი შატბერლული რედაქტიოთა წარმოდგენილი და განსაკუთრებულს არაფერს შეიცავს.

ხოლო ქართლის ოცდამეშვიდე მეფის ვარაზბაკურის ზეობაში ტექსტის ხელით ჩართული პეტრე ქართველის ცხოვრება, აგრეთვე ჩვეულებრივი რედაქტიისად<sup>1)</sup>.

ამის შემდეგ კი დატოვებულია პატარა აბზაცი სამი სტრიქონისათვის, თითქოს პეტრე ქართველისადმი ცნობილი მიმართვის ჩასწერად, რომელიც აქ რაღაც. მიზეზების გამო აღარ ჩაუწერიათ. მხოლოდ ამის შემდეგ გრძელდება ისევ ვარაზბაკურის ცხოვრება.

როგორც ვხედავთ, აქ წარმოდგენილი ნაწყვეტის ფარგლებში, უველაზე უფრო დიდი რედაქტიული ცვლილება აღერკი მეტის ცხოვრების შემცველ ნაკვეთს<sup>2)</sup> განუცდია. სხვაზე უფრო ადრე მას ურბნელი გადამწერის ხელი შეხებია. ამ ნაკვეთის განვრცობა პირველად მას განუზრახავს და ამ მიზნით ამდენიმე ჩანართიც შეუტანია.

ჯერ ერთი, ურბნელის ხელს მიეკუთვნება ჩანართი, რომელშიც მოცემულია დეტალიზაცია ცნობისა მცხეთაში საუფლო კვართის პიტანასთან დაკავშირებით. თუ ძველი ქართლის ცხოვრებაში და ვახტანგისეული რედაქტიის უძველეს ნუსხებში ამის შესახებ მხოლოდ ზოგადად იყო ნათქვამი: „და მუნით მოილეს კუართი უფლისად ელიოზ მლდელმან მცხეთას“, ურბნისულ ნაწყვეტში ამ წინადადებას მისდევდა თხრობა მცხეთაში საუფლო კვართის მოტანისა და მიწაში მის ჩათლებასთან დაკავშირებული სასწაულების შესახებ. ჩანართი იწყება სიტყვებით: „მყის წინა მიეგება და იგი მისი გოდებითა“ და გრძელდება სიტყვებამდე; „ადგილი იგი რომელი ლმერთმან იცის მხოლომან“. ამ ტემთხვევაში—ურბნელი გად მწერი თითქმის სიტყვასიტყვით აბათარ მღვდლის ნათქვამს

1) ისეთივე რედაქციაა, როგორიც ქართლის ცხოვრების რუმიანცევისეულ ნუსხაშია წარმოდგენილი.

2) ახალი ქართლის ცხოვრების უძველეს (რუმიანცევისეულ, ჯანაშვილისეულ, ჭალაშვილისეულ, მაჩაბლისეულ და საეკლესიო მუხეუმის) ნუსხებში ადერკი მეტის ცხოვრებას ის სახე და მოცულობა აქვს, რაც ძველ (ვახტანგის წინარე ხანის) ქართლის ცხოვრებაში ჰქონია. ვახტანგის რედაქციას ეს ჯაკვეთი უცვლელად დაუტოვებია.

იმეორებს „კუართისათვის უფლისა ჩუენისა იქსო ქრისტესისა“ და ამოღებულია მოთხრობილან: „მოქცევად მირიან მეფისა და ყოვლისა ქართლისად წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ“.

გარდა ამისა, ურბნელ გადამწერს ამ ნაკვეთში მეორე უფრო ვრცელი ჩანართიც ჩაურთავს. იქაც დეტალიზირებულია ცნობა-დასავლეთ საქართველოში ანდრია მოციქულისა და სიმონ კანანელის საგანმანათლებლო მოლვაწეობის შესახებ. ეს უკანასკნელი იწყება სიტყვებით: „სიმონ კანონელითურთ პირველად ქარლაქად“ და ჩთავრდება სიტყვებით: „და შერისხდა მეფე ადერქი ერისთავსა კლარჯეთისასა რომელ მშვიდობით განუტევა ანდრია“. ჩანართის ავტორს სურს ანდრია მოციქულისა და სიმონ კანანელის საგანმანათლებლო მოლვაწეობის გეოგრაფიული არე კონკრეტულად დაგვისახელოს. მისი სიტყვით, ისინი თავდაპირველად მოდიან ქალაქს (არ ასახელებს, ისე კი ტრადიციულად ტრაპეზუნდი უნდა იგულისხმებოდეს), გააქრისტიანეს იგი. აქედან ისინი ბრუნდებიან უკან—„გარდავლეს ჭორები“ და ესტუმრებიან სვანეთს. აქ მათ არწმუნეს დედაკაცი მთავარი სვანეთისა, იქიდან მიდიან „სევას-ტობოლედ, რომელსა აწ ცხუმად სახელედების“. აქ ანდრია მოციქულმა დასტოვა სიმონ კანენელი. „ხოლო თვითონ გარდავიდამთა და წარვიდა“. ოვსეთის მოქცევის შემდეგ მოციქული ისევე „ცხუმს“ დაბრუნდა. აქედან ისინი მიემგზავრებიან აფხაზეთს. აქ ქალაქს „ნიკოფისიას“ (აფხაზეთსა და ჯიქეთს უშუა) გარდაიცვალა სიმონ კანანელი. ანდრია მოციქულმა განანათლა აფხაზები და მეგრელები და ამავე მიშნით გაემგზავრა სკეთიალ. ანდრია მოციქულისა და სიმონ კანანელის მოლვაწეობის მსგავსი გეოგრაფიული მიმოხილვა სხვაგან არსად შეძლებოდრია. ამ მხრითაც ურბნელი გადამწერი განცალკევებულად დგას. თუ ჩენ ურბნელი გადამწერის ჩანართების დეტალურ დახასიათებას აქ ვერ დავიწყებთ, უმართებულო არ იქნება თუ ვიტყვით: ურბნისული ნუსბის აღნიშვნული ჩანართები წარმოადგენენ ჯერ კიდევ ვახტანგ მეფის მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების გაგრძელებას. ჩვენს საისტორიო მწერლობაში, სხვაზე უფრო აღრე ვახტანგ მეფის ნაბიჯები: ეჭვმიუტანელი წყაროების დახმარებით სწორედ მან შეადგინა ზოგიერთი ქართველი წმინდანის ცხოვრება და პირველმა შეატანია ისინი ქართლის ცხოვრებაში:

ბუნებრივია, რომ უკვე ვახტანგის შემდეგაც ეკლესიის წიაღში გადაწერილ ქართლის ცხოვრების ნუსხებში ვახტანგია მოღვაწეობის სწორედ ამ მხარეს განსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდნენ და ცდალობდნენ ვახტანგის მიერ მითითებული გზის გაგრძელებას და ჩვენი სახელოვანი მატიანის ამ მხრივ შევსებას. თუ არ ვცდებით, ქართლის ცხოვრებია თეიმურაზისეული (აწ მეცნიერებათა აკადემიის) და ურბნისული ნუსხები (რამდენადაც აქ წარმოდგენილი ნაწყვეტი ამ უკანასკნელის მიმართ ასეთი მსჯელობის საშუალებას იძლევა) ასეთი ტრადიციის სხვაზე უფრო აღრინდელ ნიმუშებს იძლევიან.

ზაქარია ხუცესის სარედაქტორო მოღვაწეობა აქ კიდევ უფრო თვალსაჩინოა. ის მუყაითად აგრძელებს და თვალსაჩინოდ აღრმავებს ურბნელი გადამწერის მიერ დაწყებულ საქმეს. ზაქარია ხუცესს ვითარცა განსწავლულ პიროვნებას, ადრევე შეუნიშნავს ასე მექანიკურად ჩაკერებული ნაწყვეტის განსხვავება ქართლის ცხოვრების იმ რედაქციასთან შედარებით, რომელიც იმ დროისათვის საქართველოში ჩამოყალიბებული კოუილა და რომლის მსგავსი ხელ ნაწერის შემზადებაც მას მიზნად ჰქონია დასახული. მდგომარეობის გამოსწორების მაზნით, ზაქარია ხუცესი ძველი ტექსტის ახლებურად შეკეთების გზას შესდგომია. სწორედ ამიტომ მას ტექსტის გარკვეულ აღგილებში ერთი ან რამდენიმე ახალი წინადაღება ჩაუმატებია. ასე, მაგალითად: თხრობაში, სადაც საუბაოია ალექსანდრე მაკედონელის ქართლს შემოსვლის შესახებ, წინადაღებას; „ყოველსა სულიერა ჭამდეს მკუდარსა შესჭამდეს“, ზაქარია უმატებს „ვითარცა მეცნი და პირუტკუნი, რომელთა ქცევისა წარმოთქმა უკმარ არს და იხილნა რა იგი სახტიკნი წარმართნი, რომელთა ჩვენ ბუნ თურქად და ყიგჩაყად უწოდთ მსხლომარენი მდინარესა მას მტკვრისასა მიხედვით“.

ხოლო ცოტა უფრო ქვემოთ წინადაღებას „და უკვირდა ესე ალექსანდრეს, რამეთუ არა რომელნი ნათესავნი იქმოდეს მას“ რედაქტორი ურთავს „და ენება რათამცა ალმოფხვრნა იგინი ქილაქებისა შიხვან, არამედ მას უამხა დაფერ უძღლო რამეთუ ჰპოვნა ციხენი მაგარინი და ქალაქენი ძლიერნი კვალად გამოვიდეს. ხხვა ნათესავნი ქალდეგელნი და დაეშენეს იგინიცა ქართლს შემდგომად იმისსა განძლიერდა ალექსანდრე და დაიპყრა ყოველი ქვეყანა დამოვიდა ქვეყანასა ქართლისასა“.

გარდა ამისა, ნაწყვეტის მთელ მანძილზე ზაქარიას ხელით აშიებხე აღნიშნულია ძირითადი ტექსტის ამა თუ იმ აღგილის შესახებ ჟენიშვნები, განმარტებანი და თარიღები.

განსაკუთრებით საყურადღებოა ზაქარია ხუცესის სარედაქტო-  
რო მოწვევობა ადერკი მეფის ცხოვრებასთან დაკავშირებით.  
აქ ხშირია ზაქარიას მიერ ტექსტის გარკვეული ადგილების წაშ-  
ლისა და სამაგიერო ვრცელი ტექსტის შემოტანის შემთხვევებიც.  
ასეთი ჩანართები, ადგილის მიმთითებელი საგანგებო ნიშნებით,  
მოთავსებულია ზაქარიას ხელითვე ძველ ფურცელთა აშეებზე ან  
სპეციალურად ჩაკერებულ ფურცლებზე იქვე.

აქ ჩვენ ვერც ზაქარია ხუცესის ჩანართების დეტალურ გან-  
ხილვას გამოვუდევბით<sup>1)</sup>, მხოლოდ ვიტყვით, რომ აღნიშნული ჩანარ-  
თებისა და შესწორებების მეშვეობით ირკვევა ახალი ქართლის  
ცხოვრების ის რედაქციაც, რომელიც ზაქარია ხუცესს მხედველო-  
ბაში აქვს და რომლის მიხედვითაც იგი ამ ნაწყვეტის გამართვას  
ცდილობს: ესაა ახალი ქართლის ცხოვრების უსრულები რე-  
დაქცია, რომელიც საქართველოში XVIII საუკუნის სამოციანი წლე-  
ბისათვის უკვე ჩამოყალიბებული ჩანს (ქართლის ცხოვრების ბა-  
რათაშეილისეული და ფალავანდიშვილისეული ნუსხები ამ რედაქ-  
ციის სხვაზე უფრო აღინდელი ხელნაწერებია).

საერთოდ, ზაქარია ხუცესის მიერ ქართლის ცხოვრების ფა-  
ლავანდიშვილისეულ ხელნაწერში ჩაკერებული ურბნისული ნაწყვე-  
ტი მრავალმხრივ საყურადღებო მოვლენაა. იდაბიანის ურადღება,  
აქ უნებლიერ იპყრობს არა მარტო ქართლის ცხოვრების ნუსხის  
თავგადასავალი, არამედ ის ვრცელი. სარედაქტორო საქმიანობაც,  
რომელიც ვახტანგის შემდეგაც ქართლის ცხოვრების გარშემო  
საქართველოში გაჩაღებული ჩანს. ქართლის ცხოვრების რედაქციე-  
ბის ისტორიული თვალსაზრისით შესწავლის საქმეში ამ ნაწყვეტის  
მშეშენებლობა მეტად თვალსაჩინოა. მას, სულ ცოტა, ორი ერთი-  
მეორის მომდევნო რედაქციების კვალი შემოუნახავს. სწორედ  
ამაშია მისი განსაკუთრებული მეცნიერული ღირებულებაც.

1) ზაქარიას ყველა ჩანართი თავის ადგილას აღნიშნულია სქოლიში. ბოლო  
მათი დეტალური განხილვა ისევე, როგორც ზაქარია ხუცესის სარედაქტორო  
მოწვევობის. სრული მიმოხილვა ქართლის ცხოვრების ფალავა ნდიშევილისეული  
ნუსხის მოვლენაზე ჩვენ სხვა დროისთვის გვაქვს განზრაზული.

Фрагмент Урбнисского списка Картлис-Цховреба  
(Истории Грузии)

Р е з ю м е

Автор настоящей статьи дает интерпретацию одного фрагмента неизвестного до сих пор списка Картлис-Цховреба, который позднее был включен в состав другого, Палавандишвилевского списка Картлис-Цховреба. Последний закончен перепиской в августе 1761 года и ныне хранится в Государственном Музее Грузии под № 988-Н. Фрагмент небольшой, всего 59 листов, и содержит сочинение Леонтия Мровели „Жизнь царей...“ почти полностью. Изучив данные фрагмента автор, заключает:

1. Фрагмент является частью Урбнисского списка Картлис-Цховреба. Последний был переписан в первой четверти (во всяком случае не позже сороковых годов) XVIII века и заключал Ахали Картлис-Цховреба (Новая история Грузии).
2. Фрагмент носит явные следы двух последовательных редакций: урбнисской и священника Захария. Особой редакционной переделке подвергся раздел, повествующий о жизни царя Адерки.
3. С точки зрения дальнейшего изучения послевахтанговской редакции Картлис-Цховреба фрагмент представляет значительный научный интерес.

## ციტირებული ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Е. Тахайшили. Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения т. II, вып. 1—4. Тифlis. 1906—1912.
2. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი (თბილისი) ყოფ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციის ნელნაწერი № 2080.
3. იქვე. ყოფ. ქ. შ. ჭ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების კოლექციის ნელნაწერი № 4730.
4. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I. ბატონიშვილი ურთიერთობა. თბილისი. 1940.
5. დ. ბაქრაძე. „Заметки дорожныхъ“. საქართვ. სახ. მუზეუმი (თბილისი) რუსული ნელნაწერი № 34. რეესტრი IV.
6. საქართველოს სახ. მუზეუმი (თბილისი). ყოფ. საეკლესიო მუზეუმის საბუთი № 680.
7. დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია. თბილისი. 1941.
8. საქართვ. სახელმწიფო მუზეუმი (თბილისი) ყოფ. ქ. შ. ჭ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების კოლექციის ნელნაწერი № 3226.